საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №1

ქ. ლანჩხუთი 24.01.2019.

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: აკაკი იმნაიშვილი, ამირან გიგინეიშვილი, იოსებ ჩხაიძე, თორნიკე ტიკაძე, ციცინო ჩხაიძე, გიორგი ჩახვაძე და ზურაბ კუკულავა.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ია ჩხაიძე.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ა. მახათაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ა. მახათაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების-განათლების ხელშეწყობის, კულტურის ღონისძიებების, სპორტული ღონისძიების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ა. მახათაძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების-განათლების ხელშეწყობის, კულტურის ღონისძიებების, სპორტული ღონისძიების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ა. მახათაძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის აუდიტორული შემოწმების ჩატარების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ა. მახათაძე/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ა. მახათაძე/

7. სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-8, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ**. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების პროექტში, სულ წარმოდგენილია 16 სოციალური პროგრამა. ესენია: მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა; მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა; მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა; ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა; მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა; ცენტრ „იავნანას“ თანადაფინანსების პროგრამა; ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა; იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა; სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა; მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა; ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის; ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა; უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა; ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა; მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა; შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა.

დეპუტატმა **იოსებ ჩხაიძემ** გამოთქვა უკმაყოფილება იმის შესახებ, რომ პროგრამის მიხედვით სოფლებში მარტოხელა ბენეფიციართა გამოკვება ხდება კვირაში მხოლოდ ორჯერ. მისი თქმით პროგრამა ან საერთოდ უნდა გაუქმდეს ან შევიდეს ცვლილება, დაემატოს დაფინანსება და მოხდეს ბენეფიციარების ყოველდღიური გამოკვება. მან ასევე უკმაყოფილება გამოთქვა დიალეზის პროგრამასთან დაკავშირებით.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** აღნიშნა, რომ სოფლებში მარტოხელა ბენეფიციარებისთვის საკვების მიწოდების ტრანსპორტირების ხარჯი ბევრად აღემატება მათი კვების ხარჯს, რაც მისი თქმით არასწორია.

დეპუტატმა **ამირან გიგინეიშვილმა** დასვა შეკითხვა თუ რაზე დაყრდნობით იყო თითოეული პროგრამის დაფინანსება გათვლილი, იყო თუ არა ინდიკატორები გათვალისწინებული და შეიძლებოდა თუ არა წარმოდგენილი პროგრამებით მოსალოდნელი შედეგების გათვლა, რაზეც **თამარ ფირცხალაიშვილმა** გააკეთა განმარტება და აღნიშნა, რომ პროგრამების დაფინანსება მოხდა სტატისტიკაზე დაყრდნობით, ხოლო რაც შეეხება მოსალოდნელი შედეგების გათვლას წარმოდგენილ

პროგრამებს თან ახლავს ცხრილი, რომელშიც ყველაფერი დეტალურადაა გაწერილი. დეპუტატმა განაცხადა, რომ თავს იკავებს აღნიშნული საკითხის მხარდაჭერისგან, ვინაიდან არ არის გაცნობილი საკითხის დეტალებს.

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს.

მომხრე-6, წინააღმდეგი-2 (ამირან გიგინეიშვილი და იოსებ ჩხაიძე).

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის ორგანიზებას უზრუნველყოფს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური. წინამდებარე წესი აწესრიგებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან „სოციალური დაცვის" მუხლში გათვალისწინებული სოციალური დახმარებების დანიშვნასთან და გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სოციალური დახმარებების დანიშვნასა და გაცემაზე უფლებამოსილ უწყებას, რომელიცაა მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური; ადგენს სოციალური დახმარების სახეებს, მათი დანიშვნისა და გაცემის ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს. დახმარებების გაცემა ხდება შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე.

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა** აღნიშნა, რომ სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების პროგრამაში შენიშვნის სახითაა წარმოდგენილი განსაკუთრებული შემთხვევები. კერძოდ, გადაუდებელი სასწრაფო-სამედიცინო ოპერაციების, სასწრაფო-სამედიცინო კვლევების დაფინანსება, ასევე არაპროგრამული რეფერალური მომსახურება უნაღდო ანგარიშსწორებით, რომელიც არ ჯდება მერიის დაფინანსების პროგრამაში, მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განხორციელდეს სარეიტინგო ქულის წარმოდგენის გარეშეც. მან ასევე განაცხადა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში აუცილებელია წარმოსადგენ დოკუმენტაციას თან ახლდეს ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და საკრებულოს წევრის შუამდგომლობა, რასაც დაეთანხმნენ დეპუტატები.

დეპუტატმა **ამირან გიგინეიშვილმა** აღნიშნა, რომ მას მიზანშეწონილად მიაჩნია დახმარებების გაცემისას მუნიციპალიტეტის მერმა გაუკეთოს დელეგირება მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურს და მერის ჩარევის გარეშე, აღნიშნული სამსახურის მიერ მოხდეს გადაწყვეტილების მიღება დახმარების გაცემასთან დაკავშირებით, რასაც დაეთანხმა დეპუტატი იოსებ ჩხაიძე.

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა აღნიშნა,** რომ მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამით თანხის გაცემა ხდება კომისიური წესით. წარსადგენ დოკუმენტაციას თან ახლავს ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა 100). უფრო გაადვილდება მუშაობა, თუ აღნიშნული კომისიის შემადგენლობაში მოწვეული იქნება ექიმი. ასევე არის გამონაკლისი შემთხვევები, თუ საქმე ეხება ონკო დაავადებებს, ლეიკემიით დაავადებულებს, ქრონიკული დაავადების მქონე ბენეფიციარებს და ასევე იმ ბენეფიციარებს, რომლებსაც ოპერაციის შემდგომი მკურნალობისთვის აქვთ გარკვეული სახის მედიკამენტები დანიშნული მათი განცხადებების განხილვა მოხდება მხოლოდ მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ და არა კომისიური წესით. მან ასევე აღნიშნა, რომ მედიკამენტების შეძენაზე დახმარებისთვის გასულ წელს ერთი ოჯახის რამდენიმე წევრმა მიმართა

მერიას, მედიკამენტებიც ჯანმრთელობის ცნობის მიხედვით საჭიროზე ბევრად მეტი დაუფინანსდა, რასაც საკმაოდ სოლიდური თანხა დასჭირდა. აქედან გამომდინარე მიზანშეწონილია ოჯახის მეორე, მესამე და ა.შ. წევრის განცხადების განხილვა მოხდეს კომისიაზე, რომლის შემადგენლობაში იქნება ექიმი და კომისიის მიერ იქნას გადაწყვეტილება მიღებული რამდენად და რა რაოდენობის მედიკამენტი ესაჭიროება ამა თუ იმ ბენეფიციარს, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როცა საქმე ეხება ონკო დაავადებებს, ლეიკემიით დაავადებულებს, ქრონიკული დაავადების მქონე ბენეფიციარებს და ასევე იმ ბენეფიციარებს, რომლებსაც ოპერაციის შემდგომი მკურნალობისთვის აქვთ დანიშნული გარკვეული სახის მედიკამენტები, მათი განცხადებების განხილვა მოხდეს კომისიის გარეშე, რასაც ერთხმად დაეთანხმნენ დეპუტატები.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გათვალისწინებით:

- **სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დახმარების გაცემისთვის მოქალაქის მიერ წარსადგენ დოკუმენტაციას დაემატოს ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და საკრებულოს წევრის შუამდგომლობა.**

- **მედიკამენტების შეძენის დახმარების პროგრამაში ოჯახიდან რამდენიმე წევრის მომართვის შემთხვევაში მეორე, მესამე და ა.შ. წევრის განცხადებების განხილვა არ უნდა მოხდეს კომისიური წესით თუ საქმე ეხება ონკო ავადმყოფებს, ლეიკემიით დაავადებულებს, ქრონიკული დაავადების მქონე ბენეფიციარებს და ასევე იმ ბენეფიციარებს, რომლებსაც ოპერაციის შემდგომი მკურნალობისთვის აქვთ გარკვეული სახის მედიკამენტები დანიშნული.**

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

მომხრე-8, წინააღმდეგი-არცერთი.

სხდომა დატოვა დეპუტატმა იოსებ ჩხაიძემ და თორნიკე ტიკაძემ.

დღის წესრიგის მესამე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების-განათლების ხელშეწყობის, კულტურის ღონისძიებების, სპორტული ღონისძიების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ **ალექსანდრე მახათაძემ.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ წარმოდგენილია სულ 4 პროგრამა და 15 ქვეპროგრამა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, ია ჩხაიძემ ისაუბრა ყველა იმ პროგრამისა და ქვეპროგრამის შესახებ, რომლებიც წარმოდგენილი იყო აღნიშნული სამსახურის მიერ. მისი თქმით სამსახურის მიერ დეტალურად შემუშავდა ყველა პროგრამა და ღონისძიების აღწერა, ასევე მათი მიზანი და შუალედური/საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორი. ეს პროგრამებია:

განათლების ხელშეწყობის პროგრამა, რომელშიც შედის შემდეგი ქვეპროგრამები; ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსება, განათლების სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანების წახალისება და ტრანსპორტირება.

კულტურული ღონისძიებების პროგრამა და მასში შემავალი ქვეპროგრამები: კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, კულტურისა და ხელოვნების სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანებისა და შემოქმედებითი კოლექტივების წახალისება, ტრანსპორტირებით დახმარება, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და შენარჩუნება, კულტურული პროექტების თანადაფინანსება.

სპორტული ღონისძიებების პროგრამა, საჩუქრების და პრიზების შეძენა, წარმატებული, ახალგაზრდა, ვეტერანი და ღვაწლმოსილი სპორტსმენებისა და მწვრთნელების წახალისება, ახალგაზრდული სპორტული ტურნირების მხარდაჭერა, სასკოლო სპორტული ოლიმპიადის და სპორტი ბარიერების გარეშე ჩატარება და ტრანსპორტირებით მხარდაჭერის ქვეპროგრამები.

ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამა ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსებისა და შ.შ.მ. ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციის ქვეპროგრამები.

დეპუტატმა **გიორგი ჩახვაძემ** დასვა შეკითხვა იმის თაობაზე, იყო თუ არა გათვალისწინებული აღნიშნულ პროგრამებში ჩიბათობის დღესასწაულის თანადაფინანსება, რაზეც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, **ია ჩხაიძემ** განმარტა, რომ დღესასწაულის ორგანიზატორებთან ერთად აუცილებლად მოხდება ხელშეწყობა აღნიშნული სამსახურის მიერ და ეს შესაბამისად წარმოდგენილ პროგრამებშიცაა გათვალისწინებული.

დეპუტატმა **ამირან გიგინეიშვილმა** აღნიშნა, რომ რამდენიმე მუნიციპალიტეტს აქვს საგრანტო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი პროექტების დაფინანსებას და კარგი იქნება, თუ აღნიშნული პროგრამა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტსაც ექნება.

მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, **ია ჩხაიძემ** განაცხადა, რომ ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამით დაფინანსება ხდება მომართვიანობის საფუძველზე. გასულ წელს სოფელ ჩიბათისა და მესამე საჯარო სკოლების მომართვის საფუძველზე მოხდა მათ მიერ წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსება. მან ასევე აღნიშნა, რომ სამსახურის ინიციატივით იგეგმება მსგავსი ტიპის საკითხების წინა პლანზე წამოწევა.

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის მესამე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების-განათლების ხელშეწყობის, კულტურის ღონისძიებების, სპორტული ღონისძიების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს.

მომხრე-5, წინააღმდეგი-1(ამირან გიგინეიშვილი).

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების-განათლების ხელშეწყობის, კულტურის ღონისძიებების, სპორტული ღონისძიების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე მახათაძემ. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი წესი არეგულირებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამების, დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხიდან განათლების, კულტურის და სპორტის სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანების

დაჯილდოების, ინტელექტუალურ-შემეცნებითი, კულტურული და ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსების წესს.

მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს იგეგმება ოქროსა და ვერცხლის მედალოსანთა წახალისება ფულადი ჯილდოთი და შესაბამისად სამომავლოდ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მოხდება ცვლილების განხორციელება.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების-განათლების ხელშეწყობის, კულტურის ღონისძიებების, სპორტული ღონისძიების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

მომხრე-6, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის აუდიტორული შემოწმების ჩატარების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ.** მან აღნიშნა, რომ კანონის შესაბამისად საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნის საფუძველზე საკრებულოს მიერ მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომელიც ეხება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის შესამოწმებლად დამოუკიდებელი აუდიტის მოწვევას. აუდიტორული შემოწმების პერიოდი უნდა განსაზღვრული უნდა იქნას 2018 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 იანვრამდე.

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის აუდიტორული შემოწმების ჩატარების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს.

მომხრე-6, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ.** მან აღნიშნა, რომ 2018 წლის 29 ოქტომბრის N1994 განკარგულებით ზოგადსაგანმანათლებლო

დაწესებულებების საამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ მუნიციპალიტეტების დაფინანსების მიზნით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამოეყო სკოლების რეაბილიტაციისათვის 102719.16 ლარი მათ შორის: ჩიბათის საჯარო სკოლის (ჭალის სკოლა) 39810,30 ლარი და ნინოშვილის საჯარო სკოლის 62908,86 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №577 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 1608425 ლარი, მათ შორის: ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში ეგნატე ნინოშვილის სახლ მუზეუმთან მისასვლელი გზის აღდგენის სამუშაოებზე ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოეყო 300598 ლარი და საკუთარი სახსრებიდან 15822 ლარი, გვიმბალაურის, ღრმაღელის, სუფსის და ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოებზე ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოიყო 1307827 ლარი და საკუთარი სახსრებიდან 68833 ლარი.

2018 წლის 18 იანვრის საქართველოს მთავრობის N136 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხიდან აუთვისებელ 698289 ლარიდან 208299 ლარი მიიმართოს გზების კაპიტალურ შეკეთებაზე, საკუთარი სახსრებიდან დასაფინანსებელია 45483 ლარი. კაპიტალური დაბანდებებზე სპორტის სფეროში (საფეხბურთო აკადემიის რეაბილიტაციისათვის) 478210 ლარი, საჭადრაკო სკოლის რეაბილიტაცია 11780 ლარი. ხოლო 18663 ლარი მიიმართოს საკუთარი სახსრებიდან.

2018 წლის 17 აგვისტოს საქართველოს მთავრობის N1622 განკარგულებიდან სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისათის მიზნით ჩამორიცხული თანხიდან აუთვისებელი 254391 ლარიდან მიიმართოს გზების კაპიტალურ შეკეთებაზე 253454 ლარი, 750 ლარი მიიმართოს სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა რეაბილიტაცია ექსპლოატაციაზე, ხოლო 187 ლარი სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე.

2018 წლის 01 აგვისტოს საქართველოს მთავრობის N1468 განკარგულებიდან სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით აუთვისებელი 1593 ლარიდან მიიმართოს ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაციაზე (ადმ.შენობები) 1240 ლარი და სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია და მშენებლობა 353 ლარი. გურიის ტურიზმის ხელშეწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად მიიმართოს 6350 ლარი. მუნიციპალიტეტის საწევრო ანარიცხების დაფინასებაზე მიიმართოს 13500 ლარი. აღნიშნული აუთვისებელი და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსება განხორციელდეს მუნიციპლაიტეტის ბიუჯეტში არსებული ნაშთის ხარჯზე.

დეპუტატმა **ამირან გიგინეიშვილმა** გამოთქვა უკმაყოფილება და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხი არის ბუნდოვანი. მასში ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით უნდა იყოს გაშიფრული ყველა ის ობიექტი, რომლის დაფინანსებაც ხდება. მან ასევე განაცხადა, რომ აუთვისებელი თანხა ნიშნავს იმას, რომ პროექტი არ იყო გარდამავალი და ვერ მოხერხდა მისი დასრულება და აღნიშნულ შემთხვევაში კანონის შესაბამისად შემსრულებლებიც უნდა იყოს დაჯარიმებული.

სხდომის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ შემსრულებლებს ვალდებულება ქონდათ აღებული და გასული წლის ბოლომდე პროექტები უნდა დასრულებულიყო. მან დასვა შეკითხვა, თუ რამ გამოიწვია შეფერხებები და დაჯარიმებული იქნენ თუ არა შემსრულებლები. მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, როლანდ ლაშხიამ განმარტა, რომ ადგილობრივ ბიუჯეტში შემსრულებლების მიერ გარკვეული თანხა შემოსულია ჯარიმის სახით.

დეპუტატმა **აკაკი იმნაიშვილმა** გამოთქვა უკმაყოფილება და აღნიშნა, რომ სოფელ შუხუთში არის ძალიან ბევრი პრობლემა ინფრასტრუქტურული კუთხით. სოფელში მოსაწესრიგებელია გზები, წყლის სისტემა. ასევე სკოლა არის ავარიულ მდგომარეობაში. რეგიონალური ფონდიდან ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება ყველა სოფელში უნდა მოხდეს თანაბრად.

დეპუტატმა **ციცინო ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ მოქალაქე თამაზ ცინცაძეს გაკეთებული აქვს სამი მუნიციპალიტეტის გეოგრაფიულ-ისტორიული რუკის პროექტი, რომელსაც ჭირდება დაფინანსება.

პროექტის ფარგლებში ის შეძლებს ტურისტებისთვის ღირსშესანიშნავი ადგილების მისათითებელი ბანერების გაკეთებას. მან დასვა შეკითხვა, რომ შესაძლებელია თუ არა გურიის ტურიზმის ხელშეწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოყოფილი 6350 ლარიდან აღნიშნული პროექტის დაფინანსება, რაზეც მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** გააკეთა განმარტება, რომ წარმოდგენილი თანხით პროექტის დაფინანსება ვერ მოხერხდება, ვინაიდან თანხა გაწერილია კონკრეტული ღონისძიებების დასაფინანსებლად, მაგრამ თამაზ ცინცაძეს აღნიშნული პროექტი შეუძლია წარუდგინოს მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს.

დეპუტატმა **ამირან გიგინეიშვილმა** დააყენა წინადადება, რომ შესაბამისმა სამსახურმა მიაწოდოს კომისიას დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებელი თანხების აუთვისებლობა და დაჯარიმდნენ თუ არა პროექტების შემსრულებლები, რასაც ერთხმად დაეთანხმნენ დეპუტატები.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

მომხრე-6, წინააღმდეგი-არცერთი.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: **ალექსანდრე მახათაძე**

ქ. ლანჩხუთი

24.01.2019 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №1

2019 წლის 24 იანვარს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების-განათლების ხელშეწყობის, კულტურის ღონისძიებების, სპორტული ღონისძიების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამების დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების-განათლების ხელშეწყობის, კულტურის ღონისძიებების, სპორტული ღონისძიების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის აუდიტორული შემოწმების ჩატარების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გათვალისწინებით:

- **სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დახმარების გაცემისთვის მოქალაქის მიერ წარსადგენ დოკუმენტაციას დაემატოს ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და საკრებულოს წევრის შუამდგომლობა.**

- **მედიკამენტების შეძენის დახმარების პროგრამაში ოჯახიდან რამდენიმე წევრის მომართვის შემთხვევაში მეორე, მესამე და ა.შ. წევრის განცხადებების განხილვა არ უნდა მოხდეს კომისიური წესით თუ საქმე ეხება ონკო ავადმყოფებს, ლეიკემიით დაავადებულებს, ქრონიკული დაავადების მქონე ბენეფიციარებს და ასევე იმ ბენეფიციარებს, რომლებსაც ოპერაციის შემდგომი მკურნალობისთვის აქვთ გარკვეული სახის მედიკამენტები დანიშნული.**

დღის წესრიგის მესამე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების-განათლების ხელშეწყობის, კულტურის ღონისძიებების, სპორტული ღონისძიების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების-განათლების ხელშეწყობის, კულტურის ღონისძიებების, სპორტული ღონისძიების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის აუდიტორული შემოწმების ჩატარების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე : **ალექსანდრე მახათაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

24.01.2019 წელი
14:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	13 50	
2	თორნიკე ტიკაძე	1357	
3	გიორგი ჩახვაძე	1355	
4	დავით ჩხარტიშვილი	[illegible]	
5	ამირან გიგინეიშვილი	1350	
6	იოსებ ჩხაიძე	1350	
7	აკაკი იმნაიშვილი	14 00	
8	ზურაბ კუკულავა	14 00	
9	ციცინო ჩხაიძე	13:58.	